საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6389/01
08/07/2020

6389-01-2-202007081340

შპს „მარიამს"
მის: ქ. ზუგდიდი, მოსკოვის ქუჩა, N 17

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 1 ივლისის №9912 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ ზუგდიდში წებოცემენტის წარმოების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია, საწარმოში შემოტანილი ქვიშა წარმოადგენს გადამუშავების შედეგად მიღებულ მზა ნედლეულს, თუ საწარმოო პროცესი ითვალისწინებს ქვიშის (სასარგებლო წიაღისეულის) გადამუშავებას. ასევე წარმოსადგენია ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელისა ან/და ქვიშის მომწოდებელი ორგანიზაციის შესახებ მისამართის მითითებით.

სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე დასაზუსტებელია ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები და ავტოტრანსპორტით გამოწვეული ზემოქმედება.

ასევე გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართით არ არის გათვალისწინებული წებოცემენტის წარმოება და სკრინინგის განცხადებაში საქმიანობის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" დანართებით განსაზღვრულ საქმიანობებს.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე